


შპს „ადა“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ადა“


ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის




სარჩევი

2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	5
2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
2019 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ზოგადი ინფორმაცია.....	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
განცხადება შესაბამისობის შესახებ.....	7
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	8
ფული და ფულის ეკვივალენტები	8
1. ამონაგები.....	13
2. სხვა შემოსავალი	13
3. ფინანსური დანახარჯები.....	13
4. დაბეგვრამდე მოგება	14
5. თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:	14
6. მოგების გადასახდის ხარჯი	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	15
9. ძირითადი საშუალებები.....	16
10. არამატერიალური აქტივები.....	17
11. გადავადებული გადასახადი.....	17
12. სესხი და საბანკო გარანტია	17
13. სავაჭრო ვალდებულებები	17
14. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები.....	18
15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება.....	18
16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები.....	18
18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	19
19. პირობითი ვალდებულებები	19
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	19
21. ფინანსური რისკები	20



22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	20
--	----



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

		2019 წელი	2018 წელი	2017 წელი
	აქტივები შენიშვნე ბი	ლარი	ლარი	ლარი
მიმდინარე აქტივები				
ნაღდი ფული		34,466	421,130	199,304
სავაჭრო მოთხოვნები	7	167,028	213,528	171,038
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა მომდინარე აქტივები		0	3,297	21,130
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	1,251,317	417,690	754,064
სულ მიმდინარე აქტივები		1,452,811	1,055,645	1,145,536
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	9	409	504	450
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	-40	-50	-45
ძირითადი საშუალებები		74,582	72,245	70,595
ძირითადი საშუალებების ცვეთა		-14,108	-13,637	-19,492
სულ გრძელვადიანი აქტივები		60,843	58,608	51,508
სულ აქტივები		1,513,654	1,114,253	1,197,044
გაღებულგადახდები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი გაღებულგადახდები				
სავაჭრო ვალდებულებები	13	361,846	51,576	27,929
საგადასახადო ვალდებულებები	14	-12,302	3,529	36,719
დარიცხული ვალდებულებები	15	11,480	8,152	963
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		361,022	63,257	65,611
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი		156,594	163,172	174,139
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		156,594	163,172	174,139
საკუთარი კაპიტალი				
დაგროვილი მოგება-ზარალი		887,824	957,294	473,366
განაწილებული მოგება-ზარალი		-145,897	-289,109	-78,089
მიმდინარე მოგება-ზარალი		254,111	219,639	562,017
სულ კაპიტალი		996,038	887,824	957,294
სულ გაღებულგადახდები და საკუთარი კაპიტალი		1,513,654	1,114,253	1,197,044

შპს „ადა“-ს დირექტორი
გიორგი ლულუნიშვილი

7-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშ.	2019	2018
ამონაგები		5,373,354	3,683,998
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-4,728,444	-3,083,632
საერთო მოგება		644,910	600,366
სხვა შემოსავალი		66,764	4,524
მიწოდების ხარჯები		0	0
ადმინისტრაციული ხარჯები		-207,312	-224,970
სხვა ხარჯები		-216,315	-115,746
ცვეთა და ამორტიზაცია		-14,108	-13,687
სესხის პროცენტი		-1,154	-15,332
მოგება ზარალი საკუროს სხვაობიდან		-0	-0
სულ საოპერაციო ხარჯები		-438,889	-369,735
მოგება დაბეგრამდე		272,785	235,155
მოგების გადასახადის ხარჯი		-18,674	-15,516
მიმდინარე წლის მოგება		254,111	219,639
საგარანტიო ანარიცხი			
ბრენდ ნეიმის აქტივად აღიარება		887,824	957,294
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-145,897	-289,109
დივიდენდები			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		996,038	887,824

2019 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	463,763		-78,089	562,017	957,294
წლის შემოსავალი					
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	473,366		-289,109	219,639	887,824
წლის შემოსავალი					
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	887,824		-145,897	254,111	996,038

შპს „ადა“-ის დირექტორი
გიორგი ღულუნიშვილი

7-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2019 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი	6,225,714	4,194,884
სულ ნედლეულის გასავალი:	5,697,398	3,118,381
ხელფასები	140,617	224,970
სხვა ხარჯები	92,151	75,582
გადასახადები	511,280	240,076
სესხის პროცენტის დაფარვა	0	0
საოპერაციო ფულის გასავალი	6,441,446	3,659,009
ფულის ნაშთი საოპერაციო საქმიანობიდან	-215,732	535,875
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხა	0	0
ძირ. საშუალებების შეძენა ნაღდ ფულზე	25,035	24,940
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	-25,035	-24,940
ნაშთი საოპერაციო და საინვესტ. საქმიანობიდან	-240,767	510,935
სესხის აღება		
საწესდებო კაპიტალის შევსება		
შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან (სესხის აღება)	0	0
გასავალი საფინანსო საქმიანობიდან (სესხის დაფარვა)	0	0
საწესდებო კაპიტალის შემცირება	145,897	289,109
გასავალი საფინანსო საქმიანობიდან	145,897	289,109
წმინდა ფულის საფინანსო საქმიანობიდან	-145,897	-289,109
სულ წმინდა ფული	-386,664	221,826
საწყისი ნაშთი სალარო და ბანკი	421,130	199,304
პერიოდის სალდო	-386,664	221,826
საკურსო სხვაობის ეფექტი	0	0
საბოლოო ნაშთი სალარო და ბანკი	34,466	421,130

შპს „ადა“-ის დირექტორი
გიორგი ლულუნიშვილი

7-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



ზოგადი ინფორმაცია

შპს „ადა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქუჩა, მიცკევიჩის #4

შპს „ადა“ კომპიუტერული და მობილური ტექნიკის საშუალო საცალო მოვაჭრე, დაარსებული საქართველოში. იგი გაყიდვებს ახორციელებს ერთი რმარკეტის ტიპის მაღაზიის მეშვეობით. კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტების ოპტიმალურ კომბინაციას.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული აქციები მოცემულია ცხრილში:


	2019	2018
გიორგი ღულუნიშვილი	30 %	30 %
ანზორ ხავთასი	70 %	70 %

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან,



გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.


მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

			აშშ დოლარი	ევრო
კურსი	2019	წლის 31	2.8677	3.2095
დეკემბრისთვის				
კურსი	2018	წლის 31	2.6766	3.0701
დეკემბრისთვის				

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.



ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს. მომწოდებლის მხრიდან ინვოისში არსებულ ჩამონათვალთან შედარებისას აღმოჩენილი საქონლის დანაკლისის შემთხვევაში მომწოდებელი იღებს ვალდებულებას ანაზღაუროს დანაკლისის ღირებულება. ეს არსებითად ხარჯების ანაზღაურების კრედიტ-ნოტას გავს და ამ დროს შემთხვევაში ხდება ზემოთ თქმული კრედიტ-ნოტის შემოსავალში აღიარება.

კომპანიის მიერ შესყიდული საქონელი ზოგიერთი არის დეფექტური, ამ შემთხვევაში ორგანიზაციის წარმომადგენელი იძახებს შემოსავლების სამსახურს, მათთან შეთანხმებით ხდება დეფექტური საქონლის ჩამოწერა რომელიც აისახება ხარჯებში შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული აქტის საფუძველზე.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.


მოგების გადასახადი მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე (მოქმედებს 2017 წლიდან) მოგების გადასახადი უნდა იქნას გადახდილი დივიდენდი გაცემის დროს და საგადასახადო კოდექსის თვალსაზრისით დაუდოკუმენტირებელი ან ნორმის ზევით გაწეული ხარჯის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების



ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები, საოფისე და სამაღაზიე მოწყობილობა 2019 წელს შეადგენს 20 პროცენტს, ხოლო იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 15 პროცენტს.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები


არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განიკვეთით 10%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.



ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს „ბრიკო კავკასიუმშია“ არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება, ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული



სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყოფეველებისთვის.

	2019 ლარი	2018 ლარი
საქონლის გაყიდვა	5,373,354	3,683,998


2. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2019 და 2018 წლებში მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

	2019 წელი	2018 წელი
სხვა შემოსავლები	66,764	4,524

3. ფინანსური დანახარჯები

	2019 ლარი	2018 ლარი
სესხის პროცენტი	0	0



4. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	2019	2018
	ლარი	ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4,728,444	-3,083,632
მიწოდების ხარჯები	0	0
საოპერაციო ადმინისტრაციული ხარჯები	-207,312	-198,864
სხვა ხარჯები	-237,963	-133,316
სესხის პროცენტი	-12,252	-16,280
მოგება ზარალი საკუთროს სხვაობიდან	0	0

5. თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2019	2018
	ლარი	ლარი
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-457,527	-348,460
შრომის ანაზღაურება	-207,312	-224,970
საიჯარო ქირა	-55,321	-50,111
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	-12,203	-12,203
საკონსულტაციო ხარჯი	-8,785	-3,639
საწვავის ხარჯი	-3,551	-4,436
რეკლამის ხარჯი	-8,132	-7,844
ბანკის საკომისიო	-13,665	-7,462
კომუნალური ხარჯები	-4,286	-4,210
სატენდერო მოსაკრებელი	-690	-1,394
წარმომადგენლობითი ხარჯები	-1,418	0
საკანცელარიო ხარჯები	-550	-550
კომუნიკაციის ხარჯი	-1,909	-8,350
სხვა საერთო ხარჯები	-139,705	-22,291



შენიშვნა: შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ხელფასს აგრეთვე დროებით დაქირავებულის ანაზღაურებას

6. მოგების გადასახდის ხარჯი

	2019 ლარი	2018 ლარი
მიმდინარე გადასახადი	18,674	15,516
გადავადებული გადასახადი	(0)	(0)

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე (მოქმედებს 2017 წლიდან) მოგების გადასახადი უნდა იქნას გადახდილი დივიდენდი გაცემის დროს და საგადასახადო კოდექსის თვალსაზრისით დაუდოკუმენტირებელი ან ნორმის ზევით გაწეული ხარჯის შემთხვევაში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 ლარი	2018 ლარი
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	167,028	216,825
განვადება-მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	0	0
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე მომსახურების გაწევიდან	0	0
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	0

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები



	2019 ლარი	2018 ლარი
გასაყიდი საქონელი	1,251,317	417,690

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად. რომლების გაერთიანებულია ჯგუფებში 1 ჯგუფში შედის მსუბუქი ავტომობილების კატეგორია, მე-2 ჯგუფში შედის ავეჯი ოფისისათვის, ელექტრონული მოწყობილობა, კომპიუტერი, მაღაზიის აღჭურვილობა, სარეკლამო მოწყობილობა და სტენდი., ხოლო მესამე ჯგუფში შედის იჯარით აღებული კი ქონების კეთილმოწყობა.

შინაარსი	ავტომობილები და მანქანა დანადგარები ლარი	ოფისის აღჭურვილობა ლარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ლარი	სულ ლარი
საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2019 წ.	19,200	29,573	9,835	58,608
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2019 წ.	19,270	32,804	8,360	60,434
შემოსვლა 2019წ.	4,888	11,046	0	15,934
გასვლა 2019 წ.	0	0	0	0
ცვეთა პერიოდის 2019 წ.	4,818	7,815	1,475	14,108
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის დასაწყისში	40,716	16,329	3,174	60,519
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის ბოლოს	44,994	24,144	4,649	73,787

10. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: არამატერიალური აქტივი შედგენს საღირცხვო პროგრამა 1C-ს. საღირცხვო პროგრამის დანერგვა და სესხამისად კაპიტალიზაცია



შპს „ადა“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

დასრულდა 2019 წელს.

თვითღირებულება	ლარი
1 იანვარი, 2017 წ.	0
შემოსვლა აღიარება	450
გასვლა	0
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წ.	405
1 იანვარი 2018წ.	405
შემოსვლა აღიარება	99
გასვლა	0
ნაშთი 2018წ	504
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2017 წ.	0
2017 წლის ამორტიზაცია	45
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2018 წ.	45
2018 წლის ამორტიზაცია	50
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2019 წ.	95
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	409
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2020 წ.	135.9
სავალანსო ღირებულება 31.12.2019	368.10

11. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება

12. სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას აქვს აღებული ფ/პ გიორგი ღულუნიშვილი-დან სესხი 111,228.13 ლარი.დარიცხული პროცენტი 2019 წლის ბოლოსთვის არის 45,365.52 ლარი.

13. სავაჭრო ვალდებულებები



	2018 ლარი	2018 ლარი
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	361,846	51,576

14. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტო ანარიცხი არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებელი გარანტიით

15. დაქირაებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირაებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს:


2019 წლის 31 დეკემბრისთვის 9,148 ლარს (დაერიცხა 207,312 ლარი, გადახილ იქნა 198,164 ლარი) 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 0 ლარს (დაერიცხა 198,864 ლარი, გადახილ იქნა 198,864 ლარი).

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სამაღაზიო და სასაწყობო ფართი.

იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადაა ხუთი წელი თვეში ერთხელ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 2019-ში 55,321 ლარს და 2018-ში 50,111 ლარს.



17. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წლის შემოსავალი	473,366		-78,089	562,017	957,294
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წლის შემოსავალი	957,294		-289,109	219,639	887,824
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	887,824		-145,897	254,111	996,038

18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები


	2018	2018
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	2,508	17,390
ფული საბანკო ანგარიშებზე	31,958	403,740
სულ	34,466	421,130

19. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას დაკავშირებული მხარეები არ ყავს.



21. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენიას სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შენა ხდება წინასწარი გადხდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ლარაებში ღირებულების გაზრდის გამო

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2020 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ადა“-ის დირექტორი
გიორგი ღუდუნაშვილი

